1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 4 (102) აპრილი 1960 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

1. ბრძანებულება შ. გ. გამყრელიძის, გ. პ. კვარაცხელიას, ვ. კ. მგალობლიშვილის და ნ. ნ. მშველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

3. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

4. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

5. ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან.

6. ბრძანებულება ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

1. ბრძანებულება შ. გ. გამყრელიძის, გ. პ. კვარაცხელიას, ვ. კ. მგალობლიშვილის და ნ. ნ. მშველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. შალვა გრამიტონის ძე **გამყრელიძე**
2. გიორგი პეტრეს ძე **კვარაცხელია**
3. ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **მგალობლიშვილი**
4. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **მშველიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 20 აპრილი.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

კოლმეურნეობების გამსხვილების, მოსახლეობის გეგმიანი წესით სხვა ადგილებში ჩასახლებისა და სოფლების ტერიტორიულად ზეზრდის გამო ადმინისტრაციულ -ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ახმეტის რაიონში

გაუქმდეს სოფლები: სახადა, ნანახშირალი, ახსაბარი, ხოვა, ჩიღო, დიდიკურთა, ვერხოვანი, ალისგორი, კოკლათა, ვეძისხევი, ბიკურთა, ბუხურთა და საჩიღოლო.

დუშეთის რაიონში

1. გამოეყოს ანანურის სასოფლო საბჭოს სოფლები: ველთაურთკარი, ვეძათხევი, ოქრუაანი, დუდაურები და მიეკუთვნოს ჭონქაძის სასოფლო საბჭოს;
2. გაუქმდეს უკანფშავის სასოფლო საბჭოს სოფლები — მისრიანები და წითელაურთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის რაიონში

1. გადატანილ იქნას პირველი მაისის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელი პირველ მაისიდან სოფელ სანახშირეში და ამიერიდან ეწოდოს სანახშირეს სასოფლო საბჭო;

2. გამოეყოს სანახშირეს სასოფლო საბჭოს სოფელი პირველი მაისი და მიეკუთვნოს შორაპნის სადაბო საბჭოს;

3. გაერთიანდეს სოფლები მაჭარული და შროშა და ეწოდოს სოფელი შროშა.

თეთრიწყაროს რაიონში

1. გაუქმდეს ახკალაფის სასოფლო საბჭო და მიეკუთვნოს მასში შემავალი სოფლები: ქვემო ახკალაფა, ზემო ახკალაფა, წყნარი აბანო, ფიტარეთი ამაევ რაიონის დმანისის სასოფლო საბჭოს;

2. გამოეყოს ირაგის სასოფლო საბჭოს სოფლები: დიდი კლდეისი, პატარა კლდეისი და შეიქმნას მათგან კლდეისის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ დიდ კლდეისში;

3. გამოეყოს ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს სოფლები: ენაგეთი, შავსაყდარი და მიეკუთვნოს ასურეთის სასოფლო საბჭოს; გამოეყოს ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს აგრეთვე სოფელი გოლთეთი და მიეკუთვნოს ჩხიკვთის სასოფლო საბჭოს;

4. გამოეყოს ჩხიკვთის სასოფლო საბჭოს სოფლები: ქსოვრეთი, გუდარეხი, ხოპისი, ვაკე და მიეკუთვნოს თეთრიწყაროს სადაბო საბჭოს;

5. გამოეყოს ორბეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ძველი ზირბითი და მიეკუთვნოს ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს;

6. გაუქმდეს სოფლები: ბუჟღულეთი, აბრამეთი, ჭალა, ზემო წყრულეთი, ქვემო წყრულეთი, ლასტის ციხე, წვერი, დიდი ნამტრევანი, პატარა ნამტრევანი და ზაზას-სოფელი;

7. გაუქმდეს სოფლები კონსტანტინოვკა და მიხაილოვკა დაბა თეთრიწყაროსთან ტერიტორიულად შეზრდის გამო;

8. გაუქმდეს სოფლები ძველი მანგლისი და ლენინსკოე დაბა მანგლისთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

თიანეთის რაიონში

1. გაუქმდეს საყარაულოს სასოფლო საბჭო და მიეკუთვნოს მასში შემავალი სოფლები: საყარაულო, ბოკონა, ევეენტი, ალოტი, ძირხვნიანი და ჩეკურაანთგორი თიანეთის სასოფლო საბჭოს;

2. გაუქმდეს ბოჭორმის სასოფლო საბჭო და შეიქმნას სიონმშენის სადაბო საბჭო ცენტრით დაბა სიონმშენში. სიონმშენის სადაბო საბჭოს მიეკუთვნოს: დაბა სიონმშენი და სოფლები: ბოჭორმა, ომარაანი, ფიჭვიანი, ყუდრო და გრძელველი;

3. გამოეყოს ნაქალაქარის სასოფლო საბჭოს სოფელი ორხევი და მიეკუთვნოს სიონმშენის სადაბო საბჭოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გაუქმდეს სოფელი ბაღიანები სოფელ თიანეთთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

თერჯოლის რაიონში

გადატანილ იქნას ნაგარევის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ ნაგარევიდან სოფელ გოდოგანში და ეწოდოს გოდოგნის სასოფლო საბჭო.

კასპის რაიონში

გაუქმდეს წინარეხის სასოფლო საბჭოს სოფელი ვარჯაანი.

მახარაძის რაიონში

გაერთიანდეს სოფლები შუა ბახვი და ზედა ბახვი და ეწოდოს სოფელი ზედა ბახვი.

საჩხერის რაიონში

გამოეყოს ცხომარეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ქვემო ხევი და მიეკუთვნოს სარეკის სასოფლო საბჭოს.

ტყიბულის რაიონში

გაუქმდეს სოჩხეთის სასოფლო საბჭოს სოფელი კავილეთი.

ხაშურის რაიონში

1. გამოეყოს ალის სასოფლო საბჭოს სოფლები ზემო ბროლოსანი, ქვემო ბროლოსანი და მიეკუთვნოს წაღვლის სასოფლო საბჭოს;
2. გამოეყოს გომის სასოფლო საბჭოს სოფელი ახალსოფელი და მიეკუთვნოს ოსიაურის სასოფლო საბჭოს;
3. გამოეყოს ოსიაურის სასოფლო საბჭოს სოფელი კლდისწყარო და მიეკუთვნოს გომის სასოფლო საბჭოს;
4. გამოეყოს ტეზრის სასოფლო საბჭოს სოფლები დიდი ბეკამი, პატარა ბეკამი და მიეკუთვნოს სურამის სადაბო საბჭოს; გამოეყოს ტეზრის სასოფლო საბჭოს აგრეთვე სოფელი სავანისუბანი და მიეკუთვნოს ქვიშხეთის სასოფლო საბჭოს;
5. გამოეყოს ფლევის სასოფლო საბჭოს სოფელი ტკოცა და მიეკუთვნოს წაღვლის სასოფლო საბჭოს.

ჩოხატაურის რაიონში

გაუქმდეს სოფლები: შრომის უბანი, ზემო განახლება, ქვემო განახლება, საბერიშვილო, დიდი ვანი და ზემო ხეთი მათი სხვა სოფლებთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

ბოლნისის რაიონში

გამოეყოს ქვეშის სასოფლო საბჭოს სოფელი სარალარი და მიეკუთვნოს ბოლნისის სადაბო საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის რაიონში

გაერთიანდეს სოფლები პატარა ახალდაბა და დიდი ახალდაბა და ეწოდოს სოფელი ახალდაბა.

წყალტუბოს რაიონში

გაუქმდეს დღნორისის სასოფლო საბჭოს სოფელი ჩორთისა.

თბილისის—სამგორის რაიონში

გაუქმდეს წყნეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ნახშირგორა და ნორიოს სასოფლო საბჭოს სოფელი შვინდაძეები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 27 აპრილი.

8. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. ვახტანგ ნიკოლოზის ძე **ამირანაშვილი** — ქ. თბილისის მე-8 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური
2. გიორგი გერასიმეს ძე **არეშოვი** — მცხეთის საქალაქო სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური
3. ლავრენტი არტემის ძე **ბელიავსკი** — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე
4. გიორგი პანტელეიმონის ძე **ბირკაია** — ცხაკაიას საქალაქო სახანძრო რაზმის მეხანძრე
5. აპოლონ ალექსის ძე **გაბედავა** — ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის რაზმის უფროსის მოადგილე
6. მიხეილ ვასილის ძე **გოგიტაშვილი** — ქ. თბილისის მე-8 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. კალისტრატე მიქის ძე **გოგია** — ცხაკაიას საქალაქო სახანძრო რაზმის მძღოლი

8. ირაკლი ივანეს ძე **კოშალაშვილი** — ქ. თბილისის მე-8 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი

9. ივანე მიხეილის ძე **მონეგოვი** — ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის რაზმის უფროსის თანაშემწე

10. დავით სარქისის ძე **მურალაშვილი** — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური

11. ალექსი მიხეილის ძე **ნოვიკოვი** — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული ნაწილის ათეულის მეთაური

12. რუბენ დარჩოს ძე **პაპაშვილი** — ქ. თბილისის მე-8 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

13. არტემ ზაქარიას ძე **როჩიკაშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი

14. ერეთ ვლადიმერის ასული **სანაია** — ოჩამჩირის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მასწავლებელი

15. გიორგი ზაქარიას ძე **სოზუაშვილი** — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე

16. შიო გიორგის ძე **ქართველიშვილი** — ქ. თბილისის მე-4 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური

17. გიორგი ნიკოლოზის ძე **შამათავა** — ცხაკაიას საქალაქო სახანძრო რაზმის ყარაულის უფროსი

18. გრიგოლ გიორგის ძე **ხუბეროვი** — მცხეთის საქალაქო სახანძრო რაზმის მძღოლი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 27 აპრილი.

4. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 27 აპრილის ბრძანებულებით დაჯილდოდა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 155 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	31
ქ. ფოთიდან	15
ქ. ჭიათურიდან	32
გორის რაიონიდან	9
თელავის „	3
თეთრიწყაროს „	33
ლაგოდეხის „	18
ლანჩხუთის „	11
სამტრედიის „	3

5. ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 28 აპრილი.

6. ბრძანებულება ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრად

დაინიშნოს ამხ. თამარ ვასილის ასული **ლაშქარაშვილი** საქართველოს სსრ განათლების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 28 აპრილი.